პროექტი

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2023წ-------- ივლისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე (ს/კ 26.26.40.121) მდებარე 2503 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წერეთლის ქუჩაზე მდებარე 2503 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.40.121), სარგებლობაში, უსასყიდლოდ, აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილების ვადით, აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების III განყოფილებისათვის ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის გადასაცემად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე